დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრები:

ლევან ღურწკაია

ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **215113268**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 26.06.2025 წლის №753393 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ლევან ღურწკაია - პროფესიული და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი);
3. ალექსანდრე კეკენაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "Frond-end დეველოპმენტი".

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Frond-end დეველოპმენტი" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ნანა შარაბიძემ და ლევან ღურწკაიამ სსიპ - გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლაში (მის: ქ. ფოთი, ჭყონდიდელის ქ. №33) განახორციელა ვიზიტი 2025 წლის 7 ივლისს, რომლის დროსაც გადამოწმდა დაწესებულების პირობების I, III და IV სტანდარტების პირველ კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება. ავტორიზაციის II სტანდარტთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Frond-end დეველოპმენტი" შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, ვიზიტის დღესვე დარგის ექსპერტი ალექსანდრე კეკენაძე დისტანციურად ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობაში. კერძოდ, ჯგუფის წევრებთან ერთად გადაამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, გაესაუბრა მათ და გადაამოწმა საგანმანათლებლო რესურსების არსებობა და დაათვალიერა საგანმანათლებლო სივრცეებად გამოყოფილი სივრცეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც გადამოწმდა დაწესებულების რესურსული შესაძლებლობები. კერძოდ:**

ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები დასაქმებულები არიან ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაშიც, შესაბამისად გადამოწმდა მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა, აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა როგორც ზოგად, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელონ სასწავლო პროცესი.

რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, დაწესებულებაში გამოყოფილია სასწავლო სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები პროფესიულ მოდულების გასავლელად, ხოლო ინტეგრირებული მოდულების გასავლელად - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი - იქნება საზიარო სივრცე პროფესიული სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის გამტარიანობა და დადგინდა, რომ აღნიშნული ფართების დატვირთვის განრიგი შესაძლებლობას იძლევა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული პროგრამები განხორციელდეს შეუფერხებლად.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ამ ეტაპზე შესაძლებელს ხდის სრულფაოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა განხორციელდეს პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსყოფად.

თუმცა, დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან და აიტომ, სასწავლო პროცესის განხორციელების დროს შესაძლებელია ადმინისტრაციული მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდეს.

დასკვნა - ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე შესაძლებელია დაწესებულებამ ეფექტიანად დაგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ისე რომ არ შეუქმნას საფრთხე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
Frond-end დეველოპმენტი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

4.1.1.1 და 4.1.1.2 ინდიკატორები (ნაწილობრივ შესაბამისი)

დაწესებულებამ უზრუნველყოს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში.

II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

2.2.1.1 ინდიკატორი (მეტწილად შესაბამისი)

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს სასწავლო სივრცეების მოწესრიგება და აღჭურვა;

2.2.1.2 ინდიკატორი (მეტწილად შესაბამისი)

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს დარგობრივი განმახორციელებლების მოძიების და შერჩევის პროცესი;

2.2.1.3 ინდიკატორი (მეტწილად შესაბამისი)

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება სწავლა სწავლების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენციების გაძლიერების მიზნით.

2.2.1.5 ინდიკატორი (მეტწილად შესაბამისი)

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების მოძიების და შევსების პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ მისიაში ასახულია, რომ სკოლა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. დაწესებულების მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ მიზნებთან: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების პროფილი ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებაზე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. მისია არის ლაკონური და გასაგებად ჩამოყალიბებული.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. ხედვაში დეკლარირებულია, რომ 2023-2030 წლებში დაწესებულება დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულების ღირებულებებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- თანამშრომლობა; (გამომდინარეობს თანამედროვე მრავალფეროვან გარემოში გლობალური განვითარების უნარიდან)
- გუნდურობა; (ეყრდნობა მულტიკულტურული გარემოს ხელშემწყობ ეფექტურ სასწავლო მეთოდებს)
- ღიაობა; (გამომდინარეობს თანამედროვე მრავალფეროვან გარემოში გლობალური განვითარების უნარიდან)
- დემოკრატიული მართვა; (გამომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებიდან)
- ტოლერანტობა. (ეყრდნობა მიმღებლობას და მულტიკულტრულ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრებაბას, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარს).

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ - გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ფოთის N 7 საჯარო სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართული არიან სკოლის პერსონალი, სტუდენტები, პარტნიორები, მშობლები, თვითმმართველობები და ა.შ. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საჯარო ხელმისაწვდომობისათვის გამოკრულია ასევე სკოლის ფოიეში.
მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეებისათვის და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- Poti7Skola.Ge
- სსიპ - გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქ. ფოთის N 7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მტკიცებულება- სამუშაო ჯგუფის განხილვის ოქმი
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- სკოლის ადმინისტრაციის და პერსონალის ინტერვიუირება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“ და მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან. ის იცავს პროფესიული სტუდენტების უფლებებს და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს. დაწესებულებაში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება: „პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსით“, რომელიც ადგენს პროფესიული სტუდენტების უფლებებს, ვალდებულებებს, ქცევის წესებს, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების ადმინისტრირების პროცედურებს;

კოდექსი ერთიანად სავალდებულოა სკოლის პროფესიული სტუდენტებისათვის და ნებისმიერი პირისთვის, ვინც სარგებლობს სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურებით. სკოლის ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის შიდა რეგულაციებით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. კოდექსის მოქმედება ვრცელდება სკოლის ყველა პროფესიული სტუდენტზე. ასევე დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული რეგულაციები: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, მობილობა, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში და ასევე შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ გამოსაყენებელი სავარაუდო აქტივობები, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები. სწავლის შედეგების შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, სსსმ და შშშმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი, მატერიალური რესურსის გამოყენების წესი, შეფასების პროცესის ადმინისტრირების და შეფასების შედეგების აპელაციის წესები და პროცედურები; შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები. აღნიშნული დებულება ასევე არეგულირებს აპლიკანტთა რეგისტრაციის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების, საკონკურსო კომისიის შექმნის, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის წესებს, ჩასარიცხად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს და სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს.
ასევე შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“, რომელიც ადგენს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს, ამ მიმართულებით სკოლაში არსებული სერვისების სპექტრს და ამ მიმართულებით იდენტიფიცირებული ღონისძიებების სახეებს; დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების სახეები, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირები და ამ სერვისების განვითარების ღონისძიებები.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები. ასევე აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში და დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს. ასევე ზსდ-ს რეგულაცია გულისხმობს რიგ აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა პროფესიული სტუდენტების კონსულტირება დოკუმენტის თანახმად, სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შესახებ კონსულტაციის გაწევა სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების და კრედიტის მინიჭების მიზნით მუდმივი კომუნიკაცია ევალება დირექტორის მოადგილეს, დაწესებულებას როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შემუშავებული სტუდენტთა სათანადო კონსულტირების მექანიზმი.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების“ თანახმად სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციას უწევს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე), პროგრამის ხელმძღვანელი. აღნიშნულ პროცესში შეიძლება ჩართული იყოს ზსდ ადმინისტრაციის სხვა წევრებიც. ასევე, დაწესებულებას თავის ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სტუდენტური სერვისების შესახებ პასუხისმგებელი პირებისა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით. გაცნობითი შეხვედრის დროს მათ მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. გარე მობილობის შემთხვევაში სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით შესაბამის მომსახურებას განახორციელებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ინდივიდუალურ რეჟიმში.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება სადაც გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს, პროგრამის დასახელებას რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს. აქვე განსაზღვრულია, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელეკრულებას ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან შშმ/სსსმ პირის შემთხვევაში (გარკვეული საჭიროებისას) მისი კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში), შესაბამისობაშია დაწესებულებაში დამტკიცებულ დებულებასთან და მასში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“. აღნიშნული დებულების IX თავი ეთმობა ინდივიდულაურ სასწავლო გეგმას, სადაც გაწერილია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და დამტკიცების მექანიზმები.

აღნიშნულ მექანიზმში გაწერილია, რომ დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიული სტუდენტის მონაწილოებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული იქნება პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. შეთანხმების შედეგად ინდ. გეგმის პროექტი შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად დამტკიცდება. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მას უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება;
- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი.
თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის ურუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით <u>დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.</u>
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი ნაწილობრივაა დაკმაყოფილებული**</u>

<u>დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია:</u>
<u>***უზრუნველყოს თავისი ორგანიაციული სტრუქტურის სრულყოფა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში.***</u>

2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუირების დროს აღნიშნეს, რომ შევიდა ცვლილება ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებში. თანამშრომლებთან გაკეთდა შეთანხმებები ახალი ფუნქციების დამატებასთან დაკავშირებით. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებშიც გაწერილ ამოცანებზე მითითებულია პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები. დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებით.
თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას და დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი ნაწილობრივაა დაკმაყოფილებული**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:</u>
<u>უზრუნველყოს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში.</u>

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

გასაუნრების დროს აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა შეუთავსდა სკოლის თანამშრომელს, რომელიც არ არის ჩართული პროფესიული პროგრამების განხორციელებაში, რათა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი.
სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია დირექტორის მიერ სამუშაო აღწერილობები და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება.
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე).
გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები.
ხარისხზე პასუხისმგებელი პირი ასევე განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების მონიტორინგს შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ერთად.
თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, მათი საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ, სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ;
ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სტუდენტთა და პერსონალის და სხვ. ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზს წარუდგენს დირექტორს; საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების შედეგებს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, დაინტერესებულ პირებს.
დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- დაწესებულების სტრუქტურა;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სამუშაო აღწერილობები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები;
- დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
- დაწესებულების ადმინისტრაციის წრმომადგენლებთან გასაუბრება

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების მათ შორის „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ მიხედვით. ახალი თანამშრომლის აყვანისას დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა შესარჩევი მეთოდი: გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დოკუმენტით, რომლის შესაბამისად არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი. ყველა პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შინაგანაწესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი);
- სამუშაო აღწერილობები (პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი (დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დაწესებულება უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამისობას).

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Frond-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N 2-102 18.06.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ. ფოთი, ჭყონდიდელის ქ, №33
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

თვითშეფასების განაცხადში დაწესებულებას არასწორად აქვს მითითებულიპროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, 10 პროფესიული სტუდენტი 20-ის ნაცვლად, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტისგან განსხვავებით.
დაწესებულების პირობების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დათვლის დოკუმენტში მითთებულ რაოდენობას და მიაჩნია, რომ იმიტირებულ გარემოში პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი მოდულები, განხორციელებისთვის **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 20 პროფესიული სტუდენტით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ - გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ფოთის N 7 საჯარო სკოლა შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში. ის თანხვედრაშია დაწესებულების, მისიასთან და შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრატეგიულ განვითარებასთან რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას და პროგრამათა სპექტრის გაფართოვებას.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიით და მხედველობაში ღებულობს:
ა) სხვადასხვა სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; (აუდიტორიის გამტარუნარიანობაა 10 პროფ. სტუდენტი. სულ პროგრამაზე 20 სტუდენტი)
ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;
ბ) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამინური რესურსის რაოდენობას
გ) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსს.
პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება ერთი ინტეგრირებული AC გარემო სადაც განხორციელდება პროფესიული მოდულები. ინტეგრირებული მოდულები ჩატარდება სკოლის დარგობრივ ლაბორატორიებში, ხოლო სპორტის მოდული (მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი) ჩატარდება სპორტისათვის განკუთვნილ სივრცეში.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, ხოლო სასწავლო რესურსი წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – სკოლის დირექტორის N 2- 102 18.06.2025 ბრძანებით.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სკოლის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (რაც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიასაც);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება A/C სასწავლო გარემოში საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (20 პროფესიული სტუდენტი).
დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მითითებული იყო 10 პროფესიული სტუდენტი, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ დოკუმენტში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 20 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებაში მითითებული რაოდენობა - 20 პროფესიული სტუდენტი.
მატერიალური რესურსების შეძენა გათვალისწინებულია დირექტორის მიერ დამტკიცებულ სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რაც გულისხმობს შესრულების ექვსთვიან ვადას. შესაბამისად გეგმის შესრულების შემდგომ მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:
დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს სასწავლო სივრცეების მოწესრიგება და აღჭურვა.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსაზღვრულია 14 განმახორციელებელი პირი, აქედან 2 პროფესიული მასწავლებელი პროფესიული ზოგადი (მეწარმეობა) და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან მიმართებაში დაწესებულებას პრობლემა არ აქვს არც რაოდენობის და არც მათი საათობრივი დატვირთვის მხრივ.
მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, ხოლო უფლების მოპოვების შემთხვევაში გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები. მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რაც შეეხება პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს, ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დამატებით კიდევ ერთი კანდიდატი. მოხდა ორივე დარგობრივი მოდულის განმახორციელებელთან გასაუბრება, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ერთ მათგანს სრულად არ უდასტურდება შესაბამისი დარგობრივი კონპეტენცია, ხოლო მეორე ამ ეტაპზე სრულად ვერ ფლობს ყველა მოდულს, და სწავლის შედეგების შესაბამის კომპეტენციას, თუმცა გამოხატავს მზაობას ისწავლოს აღნიშნული საკითხები შესაბამისი მოდულის დაწყებამდე.
თუმცა, დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის დარგობრივი განმახორიელებლების მოძიებას და შერჩევას და შესაბამისად აღნიშნული პროცესი გრძელდება.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს დარგობრივი განმახორიელებლების მოძიების და შერჩევის პროცესი

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.
ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
თუმცა, დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს სწავლა სწავლების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება სწავლა სწავლების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენციების გაძლიერების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასთან გასაუბრებით.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური/ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცე აღჭურვილია კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო ელექტრონული რესურსი. დაგეგმილია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება, რაც ასევე გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების მოძიების და შევსების პროცესი

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 10. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა;
- ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განცორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. პროგრამის განვითარების ღონისძიებები განხორციელდება სკოლის დებულების თანახმად.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისც განხორციელების დებულება“ (საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები).
- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

შემუშავებულია პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური და სავალდებულო წინაპირობები.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, მოქნილად ირეაგირებს მათ საჭიროებებზე: მაგ ცხრილების შედგენისას ცვლილების გათვალისწინება და ა.შ

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით/მისი ჩართულობით.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

აღნიშნული პროგრამის განხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, შესაბამისად პრაქტიკის ობიექტი დაწესებულებას არ ჰყავს.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს B გარემოში ქცევის ზოგადი წესები. აღნიშნული წესი გაკრულია სასწავლო გარემოში და პროფესიულ სტუდენტებს ეცნობება სწავლის დაწყებისთანავე.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;
- სასწავლო გეგმა;
- უსაფრთხოების მოთხოვნები პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები რომლის შესაბამისადაც, სკოლა უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების ორგანიზებას. რეგულაციის შესაბამისად კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლა მუდმივად იზრუნებს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. ამისათვის სკოლა განახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას, გეგმიურ ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. .ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც დაეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სკოლა განმსაზღვრელი შეფასების გარდა იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები, დადგეს ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება, ეს კი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა განვითარებას.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“
- პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

Nana Sharabidze 60001104705
Digitally signed by Nana Sharabidze
Date: 2025.07.25 14:12:05

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.

25.07.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---